ჩაის ქვეყანა - Tea Country

ქართული ჩაი

Georgian Tea

საქართველოს
კულტურული
მარშრუტები
CULTURAL
ROUTES OF
GEORGIA

Biliki

ჩაით დახატული საქართველო
Georgia Painted With Tea

ჩაით დახატული საქართველო

ჩაი უდიდესი კულტურისა და ტრადიციების მატარებელი პროდუქტია, რომლის მიმართაც ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებული გრძნობები და დამოკიდებულება აქვთ. მარშრუტი მოგვითხრობს საქართველოში ჩაის კულტურის ისტორიას.

ისტორიული წყაროების მიხედვით, საქართველოში ჩაი 1770 წელს გამოჩნდა, როდესაც ეკატერინე II-მ ერეკლე მეორეს სამოვარი და ჩაის ჭურჭელი აჩუქა. არსებობს ვარაუდი, რომ ჩაის პირველი ბუჩქი, დეკორატიული დანიშნულებით, თავად გურიელის ეზოში დაირგო 1809 წელს.

ჩაის ბუჩქების პირველი ინტროდუქცია 1847 წელს განხორციელდა, როდესაც აკლიმატიზაციის მიზნით, ოზურგეთში ჩაის ნერგები გადმოირგო. საქართველოში ჩაის სამრეწველო წარმოების ისტორია კი 1893 წლიდან იწყება, პლანტაციების გაშენება ალექსანდრე პოპოვმა დააფინანსა. ხოლო პლანტაციები, ჩინელი სპეციალისტის ლაო ჯინ ჯაოს დახმარებით მოაწყო

1900 წელს ქართულმა ჩაიმ პარიზის გამოფენაზე საუკეთესო ხარისხის აღიარების ჯილდო მიიღო. 1963 წელს საქართველოში შეიქმნა პირველი ჩაის საკრეფი ტრაქტორი, ხოლო საბჭოთა პერიოში საქართველო იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი მწარმოებელი მსოფლიოში. 2015 წლიდან კვლავ დაიწყო ჩაის სექტორის განვითარება და მეჩაიეობის რეგიონებში გაჩნდა ახალი მწარმოებელები.

სხვა ქვეყნების ჩაისთან შედარებით ქართული ჩაის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ტანინებს მცირე რაოდენობით შეიცავს, ამიტომაც აქვს ასეთი ნაზი და რბილი გემო. სინაზის გამო ქართულ ჩაის ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ჩვენი ჩაის პლანტაციები შედარებით ჩრდილოეთით მდებარეობს, რაც მას განსხვავებულ თვისებებს ანიჭებს.

Georgia painted with tea

Tea is a product of the greatest culture and traditions, towards which many countries, including Georgia, have special feelings and attitudes. The route tells the history of tea culture in Georgia.

According to historical sources, tea appeared in Georgia in 1770, when Catherine II gave Erekle II a samovar and tea pottery as a gift. There is speculation that the first tea bush, which only had a decorative purpose, was planted in the yard of Gurieli itself in 1809.

The first introduction of tea bushes took place in 1847, when, , tea seedlings were transplanted to Ozurgeti for acclimatization. The history of tea industrial production in Georgia starts by Alexander Popov in 1893, when plantations was arranged with the help of Chinese specialist Lao Jin Zhao.

In 1900, Georgian tea received the award for the best quality at the Paris exhibition. In 1963, the first tea picking tractor was established in Georgia and about forty years ago, Georgia was one of the biggest tea producer countries in the world. The development of the tea sector started again in 2015 and new producers appeared in all regions.

The advantage of Georgian tea compared to other countries' tea is, that it contains small amounts of tannins, which is why it has such a gentle and soft taste. Tea, like wine, has a high and low tannin content. The first is astringent, the second - soft. Because of its tenderness, Georgian tea has many admirers. Our tea plantations are located in the north, which gives it different properties.

ქართული ჩაი

Georgian Tea

შავი ჩაი - Black Tea

● **ანა ბატონიშვილი** - ბუნების ნაჩუქარი გემო, დამზადებულია ახლადმოკრეფილი, ეკოლოგიურად სუფთა ჩაის ფოთლებისგან, გამოირჩევა განსაკუთრებული არომათითა და გემოვნური თვისებებით საუკეთესოდ აღწერს ქართული ჩაის ადგილწარმოშობის ისტორიას.

● **Anna Batonishvili** - The gift of nature, made from freshly picked, ecologically clean tea leaves, has a distinctive and pleasant aroma that best describes the story of origin of Georgian Tea.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

ლაზი - უმაღლესი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა შავი ბაიხის ჩაი დამზადებულია კოლხეთის პლანტაციებში დაკრეფილი ნორჩი ყლორტებისგან უძველესი ქართულ-ჩინური ტექნოლოგიების გამოყენებით. ინარჩუნებს ჩაისთვის დამახასიათებელ ყველა სასარგებლო თვისებას.

Lazi – Premium Black Twisted Tea is harvested from our plantation in Kolkheti, an unspoiled growing region in western Georgia. Made from young tea shoots, leaves are carefully dried using traditional Georgian and ancient Chinese tea making processes, preserving all of the healthful benefits this tea has to offer.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

თიამო - შავი ჩაი განსაკუთრებული, დახვეწილი გემური თვისებებით. მზადდება ხელით დაკრეფილი და საგულდაგულოდ დამუშავებული ჩაის ფოთლებისგან. მოყვანილია მაღალმთიან პლანტაციებში, იმერეთში. ხასიათდება მდიდარი არომატითა და დამამშვიდებელი ეფექტით.

Teamo – Our most exquisite and Bio certified tea, Made from hand-picked, meticulously handled, and well-twisted tea leaves grown on our highland plantation in Imereti. An exceptionally rich black tea with a soothing aroma and flavor.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **კომლის ჩაი** - ხელით დაკრეფილი და მოგრეხილი ნაზი დუყებია, ბუნებრივი ფერმენტაციით და მზის თაკარა სხივებით გამომშრალი - აკაციისა და მინდვრის ყვავილების სურნელით.

● **Komli Tea** – Hand-picked and twisted soft leaves with natural fermentation and dried with burning rays of sun, fine-tuned with the aroma of acacia and wild flowers.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **მეგრული ჩაი** - ჩაის პლანტაციები მდებარეობს მარტვილის მთიან ნაწილში, მდინარე ტეხურის ხეობაში. დამზადებულია ახლად დაკრეფილი და ეკოლოგიურად სუფთა ჩაის ფოთლებისგან.

● **Megrelian Tea** - Tea plantation is located in Martvili municipality, Georgia, Tekhura river gorge, 380 metres above sea level. Made from freshly picked and ecologically clean tea leaves.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

მწვანე ჩაი - Green Tea

● **სადადიანო** – ზღვის შთამაგონებელი არომატითა და ომეგა სამით მდიდარი მწვანე ჩაი, ხელს უწყობს გონებრივ აქტივობას, მხედველობას, შეგიქმნით პოზიტიურ და ენერგიულ განწყობას.

● **Sadadiano** – Green tea From Martvili tea, rich with inspiring aroma of the sea and omega 3. Promotes mental activity, vision and helps you to create a positive and energetic mood.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **ბახვის ჩაი** - მომაჯადოვებელი გემოს მქონე გურული მწვანე ჩაი ორთქლში გამოყვანილი, დაგრეხილი ნაზი ფოთლებისაა. მისი არომატი სუფთა და გამჭვირვალეა, როგორც მთის ცვარი.

● **Bakhvi Tea** - Gurian steam-processed green tea of the soft plaited leaves. The aroma is as clean and transparent as the mountain dew. It is enchanting, like the flight of flock of cranes over the Paliastomi Lake.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

ქართული ჩაი

Georgian Tea

ჩაით დახატული საქართველო

ტერმინი „ევროპული კულტურული მარშრუტი“ გულისხმობს გზას, რომელიც კვეთს – ერთს ან რამოდენიმე ქვეყანას ან რეგიონს, რომელიც ორგანიზებულია ისეთი თემის გარშემო, რომლის ისტორიული, მხატვრული თუ სოციალური ინტერესი აშკარად ევროპულია.

მარშრუტი „ჩაით დახატული საქართველო“ ფარავს გურიის, სამეგრელოს, იმერეთის რეგიონებს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და თბილისს. მარშრუტი გვიყვება საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების ისტორიასა და მის მნიშვნელობას, როგორც ადგილობრივ ასევე მსოფლიო ბაზარზე.

მარშრუტის მონაწილეები არიან: ქართული ბიო ჩაის მწარმოებელი კომპანიები, ასოციაციები, ჩაის სახლები და მუზეუმები, რომლებიც ვიზიტორებს მოუყვებიან საკუთარ ისტორიებს და გარკვეულ სერვისებს შესთავაზებენ: ჩაის რამდენიმე სახეობის დეგუსტაცია, ისტორიული ექსკურსი, კრეფა-გადამუშავების პროცესის გაცნობა და ა.შ.

ბენეფიციარები უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ პირობებსაც: პირველ რიგში უნდა ჰქონდეთ ამბავი, რომელიც მათ სხვებისაგან გამოარჩევთ, (Make your story, sell your story), “Farm to table”კონცეფცია, ანუ დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ ჩაის მწარმოებელი კომპანიების მონახულება და წარმოების ადგილზე დეგუსტაცია, რაშიც მათ სხვადასხვა აპლიკაციები და საიტები დაეხმარებათ (Cultural routes, Biliki და ა.შ). ასევე უნდა დანერგონ წარმოების საერთაშორისო სტანდარტები, აიღონ სოციალური პასუხისმგებლობა („ჩაიდინე სიკეთე“), ჰქონდეთ ბიო სერთიფიკატი და სათანადო ინფრასტრუქტურა ვიზიტორებისთვის.

აღმოაჩინე ჩაით დახატული საქართველო!

Georgia painted with tea

The term "European Cultural Route" refers to a road that crosses one or more countries or regions organized around a community whose historical, artistic or social interests are clearly European.

The route "Georgia painted with Tea" covers Guria, Samegrelo, Imereti regions, the Autonomous Republic of Adjara and Tbilisi. The route tells the history of the development of tea culture in Georgia and its importance in both local and international markets.

The participants of the route are: Georgian bio tea companies, associations, tea houses and museums, which will tell their stories and offer a variety of services to the visitors: tasting of several types of tea, historical excursion, getting acquainted with the picking and processing process, etc.

Requirements for beneficiaries: First of all, they must have a story that sets them apart from others (Make your story, sell your story), "Farm to table" concept, interested persons will be able to visit tea companies and taste on the spot, with the help of various applications and sites (Cultural routes, Biliki, etc.). They also need to introduce international production standards, take on social responsibility, have a bio-certificate and adequate infrastructure for visitors.

Discover Georgia painted with tea!

ქართული ჩაი

Georgian Tea

თეთრი, ყვითელი და ოლონგ ჩაი - White, yellow and oolong tea

● **თერჯოლის ჩაი** - ორიგინალური გემოს მქონე ველური თეთრი ჩაი სინატიფეს და დახვეწილობას განასახიერებს. ასტიმულირებს ორგანიზმს, განწყობას და ხელს უშლის კანის დაბერების პროცესს.

● **Terjola Tea** – Original blend wild white tea, Where original taste comes from the tea bushes embedded in aromatic acacia and hawthorn forest. Sun-dried white tea is stimulating the body, mood and delaying aging.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **გეზრული** - თეთრი ჩაი დამზადებულია ჭიათურის მაღალმთიან პლანტაციაში, ეკოლოგიურად სუფთა და ნაზი ფოთლებით. გამოირჩევა არომატით, მასტიმულირებელი და სამკურნალო კუთხით

● **Gezruli tea** - white tea is made in the highland plantation of Chiatura, Imereti, with ecologically clean and gentle leaves. It is distinguished by its aroma, stimulating and healing aspects.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **ნატურა იმპერატორი** - ელიტური, მსუბუქად ფერმენტირებული ყვითელი ჩაი, ხსნის სპაზმს და მსუბუქად ატონიზირებს. ხასიათდება უნიკალური არომატითა და ყველა სასარგებლო თვისებით.

● **Natura Imperatori** - Elite Yellow tea, undergoes light fermentation, Relieves spasms and makes active the defense system of the body, characterized by unique aroma with all the useful vitamins and microelements.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **მესამე შთამომავალი** - Renegade Tea Estate-ის ოლონგ ჩაი. არც ძალიან მწვანე და არც შავი ჩაი. თქვენ შეგიძლიათ იგრძნოთ ზაფხულის ტკბილი ყვავილების ახალი და ყვავილოვანი არომატი.

● **Prodigy Mesame** – An oolong tea from Renegade Tea Estate. The taste is well-balanced, not too much to the green not to the black side. You can feel the fresh and floral aroma of sweet summer flowers.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

ბალახეული და ხილის ჩაი - Herbal and fruit tea

● **მარადიული გაზაფხული** - სილამაზის კონა, ვარდის არომატი ეფინება გულს და კანს ნორჩი დეკას მშვენიერება უბრუნდება. შემ: მაყვლის და მოცვის ფოთლების, დეკა, ვარდი და უკვდავა.

● **Eternal Spring** - This is the bouquet of beauty. Blossoms of Georgian Snow Rose hold the secret of long life from the Caucasus Mountains. Ingr: blackberry and bilberry leaf, Rhododendron, rose and immortelle.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **ფერეთა ჩაი** - არომატული მცენარეული ჩაი, რომელიც ადგილობრივი, ველური მოცვის ფოთლებისგან მზადდება. ეს არის დამამშვიდებელი და სასარგებლო ჩაი, არ შეიცავს კოფეინს.

● **Fereta Tea** – A distinctive and flavorful herbal tea made entirely from locally sourced blueberry leaves. Warm, soothing and refreshing tea, without any caffeine.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **გურიელი** - ხილის ჩაი აერთიანებს ველური ვაშლის, მსხლის, ფორთოხლის, ანწლისა და ასკილის ნაჭრებს, აგრეთვე ვარდის ფურცლებს, რაც ნაყენს კიდევ უფრო გამორჩეულს ხდის.

● **Gurieli** - Carefully mixed natural wild apple pieces, fragrant orange peel and lemon, wild pear and rosehip from the mountainous regions create the unforgettable fruity taste of this invigorating drink.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

● **უშარო** - მაღალმთიანი თუშეთის მდელოებში დაკრეფილი და სათუთად დამზადებული ბალახეული ჩაი განსაკუთრებულია მისი არომატით და სამკურნალო თვისებებით.

● **Usharo** - Herbal tea, harvested in the meadows of highland Tusheti and gently made, is special for its aroma and healing properties, Which is actively used in folk medicine.

პაკეტი pkg	_____
კგ kg	_____
ფინჯანი cup	_____

MILORAD

PAVIĆ

Landscape painted with tea